



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 253
10/07/2018

253-02-4-201807101118



შპს საქართველოს მელიორაციის 2018 წლის 27 ივნისის №გ-1773 წერილის საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-
ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 62-ე მუხლის და შპს საქართველოს
მელიორაციის 2018 წლის 27 ივნისის №გ-1773 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შპს საქართველოს მელიორაციის 2018 წლის 27 ივნისის №გ-1773 წერილი (დანართში წარმოდგენილი სახით) გამოქვეყნდეს საჯაროდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის სტენდებზე ან/და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ სხვა ადგილას, ასევე გამოქვეყნდეს პროაქტიულად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.sagarejo.gov.ge - ზე.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. აღნიშნული წერილის გამოქვეყნების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.
4. ბრძანება კანონით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. №4).

გიორგი ერბოწონაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია



შპს საქართველოს მელიორაცია Georgian Amelioration LTD

N გ-1773
27/06/2018

1773-გ-2-201806271644



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მელიორაციის“ ქვემო ქართლის რეგიონის ზემო სამგორისა და კახეთის რეგიონის ქვემო სამგორის სერვის ცენტრებს 2018 წლის სარწყავი სეზონის ჩატარება მოუწევთ ფორსმაჟორულ პირობებში. ფორსმაჟორული პირობების ჩამოყალიბება განაპირობა გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში შექმნილმა მცირე ნალექიანმა კლიმატურმა პირობებმა, კერძოდ, მთიან ზონაში მოსული თოვლის საფარის უმნიშვნელო სიმაღლემ და წვიმების ნორმაზე დაბალმა მაჩვენებლებმა. შედეგად შეუძლებელი გახდა ზემო სამგორის სერვის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სიონის წყალსაცავის სასარგებლო მოცულობის შევსება საპროექტო დონემდე. წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 148,0 მლნ. კმ-ს, ნაცვლად საპროექტო სასარგებლო 315,0 მლნ. კმ-ისა. სიონის წყალსაცავში აკუმულირებულ წყლის მოცულობასთან, რაც სარწყავი სეზონის ნორმალური ჩატარებისთვის არ უნდა იყოს 250 მლნ. კმ-ზე ნაკლები, პირდაპირ კავშირშია ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემებით გარდაბნის, საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სრულფასოვანი მორწყვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის სარწყავ სეზონზე წყლის დეფიციტი მოსალოდნელია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალურ არხზე, თბილისის ზღვიდან წყლის ამღებ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალურ არხზე, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა და მარჯვენა მაგისტრალურ არხებზე, ასევე ხაშმის არხზე.

მსგავს პირობებში სარწყავი სეზონის ჩასატარებლად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სიონის წყალსაცავიდან წყლის გამოშვებისა და წყალსარგებლობის მკაცრი გრაფიკის

შემოღება. გრაფიკის დაცვის მიზნით, დაგეგმილია ზემო და ქვემო სამგორის სერვის ცენტრების კოლექტივების დღე-ღამური მორიგეობა არხებზე, გამანაწილებლების დღე-ღამური რეგულირებისა და წყალსარგებლობის გრაფიკის დასაცავად.

ვინაიდან ზემო და ქვემო სამგორის სერვის ცენტრების კოლექტივებს ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუწევთ წყალსარგებლობის გრაფიკის დაცვით მუშაობა, გთხოვთ, დაუყოვნებლივ აცნობოთ აღნიშნულ არხებზე დამოკიდებული სოფლების მუნიციპალიტეტებს, რათა გააფრთხილონ წყალმომხმარებლები გაგებით შეხვდნენ გრაფიკით წყლის მიწოდებას და დახმარება გაუწიონ გრაფიკის დაცვაში სერვის ცენტრების თანამშრომლებს.

პატივისცემით,

არჩილ ბუკია



გენერალური დირექტორი